



ქვეყნის

1982

საგარეო

18

ს ა გ რ ი ს ტ რ

№ 24 (10555)

ფასი 1 განთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

ინფორმაცია

ბორტომოქმედება უნდა აილაგოს

როგორ ვიცხოვროთ, რა ღირებულებებზე გავაკეთოთ აქცენტები შექმნილ უმძიმეს პირობებში? — ამ მთავარი კითხვების პრილში წარმართა გულახდილი საუბარი ზუგდიდის გამგეობის წევრებისა და აქტივის შეხვედრაზე. განათლების განყოფილების გამგე კვირკველიამ, № 12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა დ. ქუჩულორიამ, ზუგდიდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ანთიამ, ქალაქის მუშვიდე სკოლის დირექტორმა ა. თოლორაიამ, გამგეობის წევრმა უ. შელიამ და სხვებმა

შეფასება მისცეს მიმდინარე უმწვევებს მოვლენებს. შეშფოთებით ითქვა სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ბანდების თავსებულობაზე, რომლებიც ძარცვებენ, ყაჩაღობენ, ატერორიზებენ მოსახლეობას. მათ წინააღმდეგ ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად უნდა აღიმალოს საზოგადოებამ.

არ იქნა გაზიარებული პოლიტიკური მოტივებით მძევლების აყვანის პრაქტიკა. მიუღებლად ჩაითვა 11 აგვისტოს ძალისმიერი აქცია-საქარველოს შინაგან საქმეთა მინისტრის რ. გვერცაძის და სხვა ხელმძღვანელი პირების

ტყვედ აყვანა. გამომსვლელებმა ასევე მოუთმენლად მიიჩნიეს საქართველოს ტელევიზიის ცალმხრივი ტენდენციური გადაცემები, რომლებიც ხელს უშლიან ერის კონსოლიდაციას.

როგორმე დაეძლიოთ ექსტრემიზმის, ძალადობის ელემენტები, პოლიტიკურ ბრძოლასა, თუ ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში მივსდით ნორმალურ, ცივილიზებულ ნორმებს. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ კოლხებისთვის ტრადიციულ დამახასიათებელი მორალურ-კულტურული ორიენტაციების შენარჩუნებას, საზოგადოების შემკრავი დუღების — ურთიერთ ნდობისა და მიტყვევის, დიდი ეროვნული შერიგების მიღწევას. ეს სულისკეთება მსკვალავდა შეხვედრის მონაწილეუა მიერ მიღებულ დოკუმენტებსაც.

ავსაზითს მზვიდობა უნდა დაუბრუნდეს

ეს სომ უაზრო ომია

ტრაგიკული ცნობები მოდის აფხაზეთიდან. მოვლენები ისე წაეწყო, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და აფხაზეთის გვარდიის შეიარაღებული შეტაკების აცილება. არის ათეულობით მსხვერპლი. სისხლი დაიღვარა ოჩამჩირეში, სოხუმის მისადგომებთან, ლესელიძეში, ამ უაზრო და აუსხნელ ომს ეწირებიან საყვებით უდანაშაულო ადამიანები, მშვიდობიანი მოსახლეობა. ერთგვარ იმედს გვისახავს აფხა დეპუტატთა ერთი ჯგუფის, კერძოდ ბაგაფისის, ანქვაბისა და ლაბახუს

მოლაპარაკება ქართულ მხარესთან, მიღწეულია გარკვეული შეთანხმებები, მაგალითად ქართული და აფხაზეთი სამხედრო ფორმირებების ქალაქგარეთ გაყვანის თაობაზე და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად კრიზისულია, მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ სამხედრო დაძაბულობის ესკალაციას თავიდან ავიცილდეთ და უმწვევესი პრობლემები მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით წარიმართება.

ჯ. თილია.

დასკვნამდე მივდივარ: აფხაზეთის უწყნარეს საბჭოს და მის ქართველ დეპუტატთა ფრაქციას უფრო

ავტომატები უნდა დადუმდნენ

როცა აფხაზეთზე ვფიქრობ, წარმოსახვაში ცოცხლდება კოლხეთთან ამ ნიჭიერი და თვითმყოფადი ხალხის ურთიერთობის დაუფიქრებელი მაგალითები. როგორ წარმოვიდგენდი, რომ მორღობინა და ნათელმბრონობის გაუხუნარ საერთო ტრადიციას გაუგებრობის შავი ღრუბლები გადაეფარებოდა. ვინ და რა მოვლენებმა აღმართეს ქართველ-აფხაზთა ურ-

თიერთობაში გაუცხოების კედელი, ეს მომავლის საქმეა. მაგრამ იმაში ვერავინ დამარწმუნებს, რომ ორივე მხრიდან თანხმობის მიღწევისათვის ყველაფერი იყო გაკეთებული.

და მაინც მწაშს, იარაღის ენას მოლაპარაკების ენა შეცვლის. ამით უფრო მოიგებს საქართველო.

მ. ჯიჟონაია,

ავიციდნოთ კატასტროფა

შავი ჯღვისპირეთის წალკოტში — სოხუმში სროლებია. იღვრება სისხლი, ინგრევა ისტორიული ნაგებობანი, სახლები, ნაღვურდება პარკები და ბულვარები. ამაზე დიდი უბედურება რა უნდა დაგვმართოდა ქართველებს და აფხაზებს. ვანალიზებ რა ბოლო თვეების აფხაზურ მოვლენებს, ასეთ

მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინა, შესაძლოა თავიდან ავიციდინა სისხლიანი შეტაკება. რაღაც პოლიტიკურ ნიუანსებში, ალბათ საქართველოს დროებითი მთავრობაც სცოდავს, რამეთუ ამ კატასტროფულ წერტილამდე მისვლა აუცილებელი გახდა. რაღა თქმა უნდა, განხორციელებულ ღონის-

ძიებებში არის გარკვეული ლოგიკა, მაგრამ ახლა ბევრი რამ დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ჯარების სწორ მოქმედებაზე, ამასთან სახელმწიფო საბჭოს მიერ გადადგმულ კეთილი ნების ნაბიჯებზე. ღმერთმა ნუ ქნას ომის შემდგომი ესკალაცია, მისი საერთო კავკასიურ მასშტაბებში გადაზრდა.

აფხაზებს და ქართველებს საუკუნოვანი მეგობრული თანაცხოვრების ტრადიციები გაგვანინა და იგი უნდა აღდგეს.

ლ. ბერაია,

საქართველოს ამომავალი მხარე, ისტორიაში ცნობილი უბატონო ქიზიყი ერთ-ერთი ძირძველი მიწაა ჩვენი სამშობლოსი. იგი ვახლავთ სასიკადალო მამულიშვილებს: სოლომონ დოდაშვილის, ნიკო ფიროსმანის, დავით სარაჯიშვილის, ფორე მოსულიშვილის და სხვა თა სამშობლო.

20-იანი წლების ბოლშევიკურმა ძალმომრეობამ იგი ჯერ ორ რაიონად გათიშა, შემდეგ კი ცალცალკე იოლად შეძლო მასში ქართული სულის ამოშანთვა. ეს განხორციელდა თავისუფლებისმოყვარე ქიზიყის ხელოვნური ასიმილაციით — სიღნაღის ცენტრში სომხური თემის, ხოლო დედოფლის წყაროში რუსი მოხელეებს ჩასახლებით.

ამ პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო საეკლესიო ცხოვრებას მეთოდურად მოშლამ. მთელ ბოღბის ეპარქიაში ეკლესია, მონასტერთა უდიდესი ნაწილი განადგურდა, დედოფლის წყაროში დღესაც

არაა არცერთი მოქმედი ეკლესია. ამდენად, ვფიქრობთ ძირძველი სამეგრელოს თანაგრძნობის ღირსი უცილოდ იქნება ქიზიყის ტკივილი.

სათქმელს დავიწყებ იმით, რომ გასული წლის მაისში მოსახლეობის დაუინებელი მოთხოვნით ამირჩიეს დედოფლის წყაროს რაიონის ორი სოფლის-ზემო მაჩხანისა და მირჯანის თემის საქრებულოს გამგებლად.

ჩემს წინ უღევი საქმე იყო დაგროვილი და მეც მიმდინარე საქმეთა პარალელურად, გაპარტახებული ეკლესიების მოვლა-აღდგენა განვიზრახე. მოსახლეობის დარაზმვასთან ერთად საჭირო იყო თანხების მოზიდვა. ამ მიზნით დავარსეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი.

აღნიშნული ფონდისადმი სიკვე-

ლე გამოიჩინა ჩემი მშობლიური სასწავლებლის — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, რექტორიდან დაწყებული, დამთავრებული სარემონტო - სამშენებლო სამმართველოებით და მომდერალ ოთარ რამიშვილით.

ფონდიდან გამოვყავით თანხები ობოლი და უღედამამო ბავშვებსათვის, ხელმოკლე ოჯახებისა და მარტოხელა პედაგოგებისათვის. კოლმეურნეობიდან მრავალშვილიან ოჯახებზე გავციით თითო მეწველი ძროხა და სხვა.

მონდა ისე, რომ ჩვენი სოფლის ფერიცვალების ამბები ვაშინტკონის ფოტოილუსტრაციების ობიექტიც კი გახდა.

ცხრა თვის განმავლობაში აღვადგინეთ მთავარანგელოზის, წმინდა გიორგისა და ალავერდის ეკლესიათა გუმბათები. მაგრამ შემდგომ

მოვლენები სხვანაირად წარიმართა. დახმარების ხელის გამოწვდის ნაცვლად დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული ორგანოებისა და „ძლიერთა ამა სოფლისათა“ მიერ შერისხული აღმოჩნდით.

ჩემს იმჟამინდელ სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ცალკეულ ეპიზოდებზე და დეტალებზე არ შევჩერდები, გულს მტკენს ის, რომ სასიკეთო საქმეთათვის შემართულს გზაზე დამხვდნენ უმადურნი და მოშურნენი, ურწმუნონი, რომლებაც მოკლებულნი არიან სასოებას. სწორედ ამიტომ, უნებლიეთ მაგონდება წმ. ილია მართლის სიტყვები: „ხომ სიკვდილია იმისათვის, როცა ჰხედავს, რომ ვისთვისაც ქირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ეცხვის ქვასა სხვათა შორის“.

რა გაეწყობა, უნდა გავუძლოთ, ასეთია ქართული დღევანდლობის მწარე სინამდვილე. და არადვიური ხვედრი. თუმცე ღმერთი მაინც გადმოხედავს საქართველოს.

მე მჭერა.

ონისა გოგილაშვილი,

გამომგონებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 67-ე კათედრის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

გინაწმირი: მთელი საქართველოს სვეტებზე დამაშვრალ სამეგრელოს, მართალია, ჩემგან არ ესწავლება ეკლესია — მონასტერთა პატრონობა, მაგრამ ძლიერ მსურს ვიხილო ოდესმე მისი მშვენიერი ზუგდიდი ეკლესიათა სიდადილი. ამ საქმეში თავის ხმას მოგაწვდენთ ქიზიყი, იმით დაიმედებული, რომ ხამართალი საბოლოოდ ჩვენს პურს“.

ქიზიყის ხმა

პედაგოგთა, სწავლის საქმეს

ვ ა კ ე თ ე ბ თ

შუამდგომლობა წელიწადში ერთხელ...

სკოლის წინაშე მდგომ სადღეისო პრობლემებზე და მათი დაძლევის გზებზე...

საიდან მოდის ამ ტიპის სასწავლო დაწესებულების ჩამოყალიბების იდეა და რა სახელს დებს მასში?

როგორც მეცნიერებისთვის ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის მასწავლებელთა საზოგადოებას შესთავაზეს ქართული ეროვნული სკოლის ახალი კონცეფცია...

განისწავლეთ თვისობრივად ახალი მიდგომები სასწავლო-სააღმწერლო პროცესისაში...

შემუშავებული სასწავლო პროგრამები და გეგმები.

— თვით ამ ახალი სახის სკოლის დაარსება, ბუნებრივია, გულისხმობს გარკვეულ უპირობებებს...

— არსებითი მომენტი ჩვენს მუშაობაში ის არის, რომ მართვის სტრუქტურაში გაბედულად, ზემო ინსტანციების ჩარევის გარეშე ვენერგავთ მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინენტის შეერთების, მათთან მუშაობის პრინციპულ ახალ კრიტერიუმებს...

მოდიან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. დანერგვის გეგმის სწავლების ხარისხის ამაღლების ქმედითი მეთოდოლოგია...

შენი თვე აგვისტო, ამ თვის 18-ში ყოველთვის შეიმი იყო შენს სახლში...

წელს კი 28 ანთებული სანთელით, ყვავილებით და ცრემლებით შევხვდებით შენს დაბადების დღეს, შენი მეგობრები.

როგორ გიყვარდა სიცოცხლე, ზვიად. არა, საქართველო გყვარებოდა უფრო...

დღეს ისევ ვიკვირს, ზვიად! დღესაც სტირდები საქართველოში...

18 აგვისტოს 28 წლისა გახდებოდი. დღეს, ვიკვირს უშენობა... გვენატრები. შენი საგმირო საქმეები დაგვჩა ნუგეშად. მსუბუქი იყო მშობელი მიწა, ჩვენ კი ცრემლებს და ყვავილებს გავატანთ შიკოთხვას შენთან...

თნანაკასხელავი.

მონატრება

ოღონდ გაჩუმდეს

სხვისი დარი გულთან მიგექონდა. შუქმენიბულ ქალაქში ფეხგარეფით დავდიოდით. აღარ იდგენენ „ოღონდის“ წინ გამოწვეპილი ბიჭები (მათ მუდამ საუემოლ ეცვათ). თავს არ ვვისრიდენ მდაბლად და მიინც ცოცხლობდა ზუგდიდი.

იბეჭდებოდა ფრონტელი ბიჭების წერილები, რომელიც ასე ბოლოვდებოდა: თუ ბედმა გავვიღია, ვინავეთ... თეტარში იღვებოდა სტეტიკლები, კინო-დარბაზს არ აკლდა მაყურებელი.

დამთავრდა ომი. სანთლები ავუნთეთ: კუკური წურწურიახ, შოთა პატარაიას, დათო ესტუხას, შოთა როგავას, გივი ალშიშაიას... ქაფებში ვისხედით მდუმარენი, კარებთან გვდარაჯობდნენ მათი აჩრდილები. სათუთად ვინახავდით სამკუთხა ბარათებს. ქუჩებში ისევ გამოჩნდა სინა-

თლე. ზუგდიდი ეგებებოდა დაქრილ ვაჟაკებს: კოკი ქაჯაიას, კუკუშა მუხუშაძეს, უორა ჩინლაძეს, ნაპო შენგელაიას, გმირებს: შალვა ქირაის, შალვა ჩილაჩავას და სხვებს.

გაზეთში ქართველ დიდებზე. შინმოუსვლელთა გულმოკლულ დიდებზე იწერებოდა წერილები. ლეგენდები დადიოდა მათ სულიერ სიმტიცეზე.

რედაქციაში იღვწოდნენ ცნობილი ურწინალისტები: გიგა ფიფია, ისაკ ქორთუა, დანიელ ფაშუვა, სანა ეგუტია, დათო პანტურია...

ზუგდიდს დღესაც მყავს კოლორიტული შინაგარეულობის პიროვნებები: შალვა უდურია, მიხეილ ბაღიშვილი, მამია დოჩია, ძმები: თუთბერძენები, რეზო ჩხეიძე, კოლია აფაქიძე, ბოჩია ძიმიფური, უორა საბულა... რომ-

მელთა საფიცარი და სამაჟო იყო და იქნება ზუგდიდელთა.

...ჩემს ზუგდიდში ისევ ვაწეიდა. ისევ ჩაიცვეს დედებმა შავი, დაკარგეს გულმძაგრი ბიჭები. მუსლი მოვიყაროთ მათ წინაშე. სამიძარი ვუთხრათ და მოვეფეროთ... მართალი ვითხათ, გაუფერულდა იმთ გარეშე ჩვენი ქალაქი. მაგრამ მე მჭერა: დაწებდა ეს ნიაღვარი. ვადიწვიმებს, ისევ აღსდგება ჩემი ქალაქი და „ოღონდის“ წინ. ეზინი ბიჭები, კოლხური კოპწიანი ბით ისევ-ისე მდაბლად დაურავენ თავს ღამაშინებს. აღო რძინდება ცხოვრება ქალაქში, კინოში, თეტარში...

დრო გასუნებს გაჭირვების თალსს, თეთრი იმედი გაშლის აფრას. ჩვენ შეგვეწევა ღმერთი, ოღონდ, ოღონდ გაჩუმდეს ტყვია...

ბ. აბულაძე.

მუშაობის დაცვადილს

ისევ პურის გამო...

ამა წლის 8 აგვისტოს ვაზეთ „ოღონდის“ გამოქვეყნდა წერილი „პურის მხოლოდ სავაქრო ქსელში გაუიღოს“, რომელიც საუბარია ზუგდიდის მოსახლეობის გამოცხვარი პურით მომარაგების მწვავე პრობლემებზე. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ქალაქის პურკომბინატი მთელი დატივრთვით მუშაობს... „პურის დეფიციტი ძირითადად რაიონის პურკომბინატისა და სხვა სოფლის პურსაცხოვების უმოქმედობა გამოიწვია“ და ა. შ.

10 აგვისტოს რედაქციაში გვეწვია ზუგდიდის რაიონის პურკომბინატის დირექტორი ოთარ ზუქია, რომელმაც განმარტა შემდეგი:

ის აზრი, რომ თითქოს რაონის პურკომბინატი უმოქმედობას იჩენდეს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენი სათაო ქარხანა და სოფლის სხვა პურსაცხოვები ტექნიკური თვალსაზრისით სრულიად გამართულნი არიან. მაგრამ მთელი დატივრთვით ვერ ვმუშაობთ ფქვილის სიმცირის გამო. რაიონის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად დღე-ღამეში საჭიროა 22 ტონამდე ფქვილი, ვდებულობთ 8-10 ტონას. თხუთმეტ დღეზე მეტია ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მოკლედ, გვექნება ფქვილი? — იქნება პურიც! ამჯერად ვადამწვევები სიტყვა წისქვილკომბინატს ეუთვინს.

დღეს გოდების მოსმენა.

გავისხენოთ, რომ ჩვენ უფლები გვაქვს საკუთარი თავის დალატის, ხოლო სხვისი დალატის უფლები—არა!

უოოოთ და ვავითავისოთ ქემ მართება მანამ, სანამ იგი, ვნებების დუღილში აორთქლებ-

ოღეს. ღამა გაეშლავა, თსუ ურწინალისტების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

სარედაქციო კომლეზია

„ჩვენ უნდა სხვისი ტკივილითა ჰავვაღარავდეთ“...

მიუხედავად სოფლის მიღმა ბინდი ეპარება ფარდობს, და საფლავეზე მოთქვამს ვიდაც. დედა ნუ იქნება, ღმერთო! ზ. კუნიანიძე.

არასოდეს ასე სევდიანი და მოწყენილი არ ყოფილა ჩემი მშობლიური ზუგდიდი. არასოდეს ამდენი უსიხარულო და უდმილო სახე არ მინახავს მის ქუჩებში. არასოდეს მინახავს ამ პატარა ქალაქში ამდენი ძაძები, თითქმის ყოველი მეორე სხელიდან სიცოცხლით სავსე, მობლიძარი ახალგაზრდების შავარში შემოვლებული ფოტოსურათები... არასოდეს მინახავს ამდენი მგლო ვიარე, თვალზე ცრემლმორეული დედა, მებულა, და წვერმომეგებული მამა, ძმა, დობლებული გოგონები და ბიჭუნები. არასოდეს ასე ხალხმრავალი არ ყოფილა ზუგდიდის სასაფლაოები. არასოდეს ასე ძა-

ლუმად არ ურეკია საფლავეებზე ჩამოწოლილ სიხუმეს. სიხუმეს, რომლის ხმაურშიც „სხვაგვარი ხმაური სუნთქავს“.

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამდენი უდნაშაულო მსხვერპლის შემდეგაც ვერ გამოვფხიზლებულვართ, ვერ ჩავვიჭიდია ხელი ერთმანეთისთვის ვერ გვიპოვია საერთო ენა, დავიკარგავს და არც გვიცდია დაკვეებრუნებინა ერთმანეთის ტკივილის გულთან ახლოს მიტანის უნარი, დავიწყებია, რომ აღამიანს პირველ რიგში სხვისი ტკივილით გაჟალარავება უნდა შეეძლოს.

სანატრელი გავიხდა ავადსხენებელი 9 აპრილის შემდგომი დღეები, როცა ყმელა ერიც და ბერიც ერთად იყო, ერთმანეთს ანუგეგმებდა და აზნებებდა. სწო-

რედ ეს ნუგეში და გამხმვეება გვაკლია დღეს და ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო, როგორ ვმოძრებით თითოეული ჩვენთაგანი მეორე აღამიანის სულთან მისაზნობებელ გზებს, როგორ არ გვეკვირს ზღვარგადასული სიცრუე, მლიქვნელობა, უმაღურობა, ლაფში ამოთხვრა მეფანისა მეფანისაგან და ღმერთო შეგვიინდე. მკვლელობაც კი.

თუ ღროზე არ დავარისხეთ განგავის ზარები, სულ ცოტა ხანში გვიან იქნება. სულ ცოტა ხანში შეგვერცხება ჩვენი წამოჩტიული პატარების ფართოდ გახედილ თვლებში ჩახედვისა. იმ თვლებში ჩახედვისა, რომლებშიც თავმოყრილი იქნება მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა.

ეს ის შემთხვევა არ არის, როცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ის შემთხვევაა, როცა სჯობს არასდროს, ვიდრე გვიან. სულ ცოტა ხანში აუტანელი გახდება საფლავე დამხოზილი